ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

29 (10067) 10 ivlisi • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

არსებული საკრებულოს უფლებამოსილების ვადა 2 აგვისტომდე გრძელდება

გაზეთი „ალიონი“

–ჩვენი უფლებამოსილება 2 აგვისტომდე გრძელდება. მანამდე კიდევ შეიძლება შევხვდეთ –განაცხადა 8 ივლისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძემ.

საკრებულოს განსახილველი მთავარი საკითხი სახელმწიფო შესყიდვების 2014 წლის გეგმაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ იყო.

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 26 ივნისის №1139 დადგენილებით სტიქიის სალიკვიდაციო ლონისძიებების დასაფინანსებლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს **399, 1 ათასი ლარი გამოუყო.**

ასევე 73 540,5 ლარი გადაიტანეს სოფლის მხარდაჭერის პროექტის დასაფინანსებლად.

საკრებულომ სხვა საკითხებიც განიხილა.

ოზურგეთლებო!

12 ივლისს, შაბათს ქ. ოზურგეთის მერის არჩევნების მე-2 ტური იმართება.

მერობის კანდიდატებია:

№8. შოთა გოგიბერიძე

(დავით თარხან მოურავი –პატრიოტთა ალიანსი).

№41. ბეგლარ სიორიძე

(კოალიცია „ქართული ოცნება“)

გია ცაგარეიშვილი: „მიწის ფართობები უცხოელებზე აღარ უნდა გაიყიდოს“

გაზეთი „ალიონი“

დღეს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ვეტერანთა და პენსიონერთა კავშირის (თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე) წევრების შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე ვეტერანებმა შეკითხვები დაუსვეს ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატს ბეგი სიორიძეს.

შეხვედრას საქართველოს პარლამენტის წევრი გია ცაგარეიშვილი ესწრებოდა, რომელსაც ცნობილმა მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა დაუსვა კითხვა, თუ რატომ შეწყდა მონატორიუმი და გაიყიდება თუ არა მომავალში მიწები უცხოელ მოქალაქეებზე.

გია ცაგარეიშვილი:- მართლაც სავალალო რეალობა იყო. ინდოეთის, პაკისტანის და სხვა ქვეყნების მოქალაქეები ჰექტრობით სახნავ-სათესს ყიდულობდნე ტყისპირა და საზღვრისპირა ზოლში, რაც უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა იქ მცხოვრებლებს. ფაქტიურად იქნებოდა პირობები, რომ არათუ გაგვეძლიერებინა საზღვრისპირა ზოლი, პირიქით იქედან ქართველები წამოსულიყვნენ.

მართალია საკონსტიტუციო სასამართლომ მონატორიუმის მოქმედება გააუქმა, მაგრამ ამჟამად იუსტიციის მინისტრთან მუშაობს კომისია, (რომლის წევრიც მე ვარ) იგი აგრძელებს მუშაობას ამ თემაზე. საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს კანონპროექტს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ამ ცვლილებით 2017 წლამდე უცხოელები, მათ შორის უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ვეღარ იყიდიან.

ხოლო თუკი აქ დააფუძნებს უცხოელი კომპანიას და სათანადო ვალდებულებეს აიღებს სახელმწიფოს და ბიუჯეტის წინაშე მათ მიწებს სახელმწიფო შესაბამისი პირობით გადასცეს. ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს 300-მდე მიწის საქმე აქვს გაჩერებული. თუ ეს დარღვევაა, იგი სახელმწიფოს ინტერესებითაა გაკეთებული.

alion.ge

კახი კალაძე ოზურგეთლებს შეხვდა

საქართველოს ვიცე პრემიერ მინისტრი კახი კალაძე ოზურგეთის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრები გაიმართა ანასეულში, ქ. ოზურგეთის ცენტრში „ჭადრების ბაღში“ და გრიბოედოვის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლების მცხოვრებლებთან.

კახი კალაძე მოსახლეობას ესაუბრა იმ პროგრამების შესახებ, რასაც საქათველოს ხელისუფლება 2012 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის სფეროში.

კახი კალაძემ ისაუბრა იაფი კრედიტების შესახებაც. ბანკები ბიზნესის დასაწყებად გასცემენ კრედიტებს, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი 13 პროცენტია. აქედან 10 პროცენტს სახელმწიფო დაფარავს და სესხის ამღებს მხოლოდ 3 პროცენტი ექნება დასაფარავი.

გრიბოედოვის ქუჩაზე, კალაძემ განაცხადა, რომ სოციალურ სამსახურებში სპეციალურად უმატებდნენ ქულებს და უხსნიდნენ დახმარებებს სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს იმისათვის, რომ ისინი უარყოფითად განაწყონ სახელმწიფოს მიმართ. სახელმწიფო აქტიურადაა ჩარეული ამ საქმეში, გამარტივდება ქულების მინიჭების სისტემა და ვისაც ეკუთვნის ყველას აღუდგება დახმარება.

—ძალიან დიდი მოლოდინია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების. იმედი მაქვს, კოალიციის კანდიდატი ბეგი სიორიძე აქ კარგ შედეგებს მიაღწევს. მე არავის არ ვთხოვ „ოცნების" კანდიდატს მისცეს ხმა, გთხოვთ ყველანი მიხციდეთ არჩევნებზე და თქვენი პოზიცია დააფიქსიროთ.

შეხვედრაზე მოსახლეობას სიტყვით ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატმა ბეგი სიორიძემაც მიმართა. მან აღნიშნა, რომ არა დაპირებით, არამედ კონკრეტული პროგრამით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას.

გრიბოედოვის ქუჩის მოსახლეობამ კახი კალაძეს სანაპიროზე გამავალი მაღალი ძაბვის ხაზების მოწესრიგებაზე დახმარებაც სთხოვა.

შეხვედრებში მონაწილეობდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული გამგებელი მერაბ ჭანუყვაზე და „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია.

7 დღის ამინდის პროგნოზი

10 ივლისი ხუთშაბათი	11 ივლისი პარასკევი	12 ივლისი შაბათი	13 ივლისი კვირა	14 ივლისი ორშაბათი	15 ივლისი სამშაბათი	16 ივლისი ოთხშაბათი
ემზე +19+29	ემზე +19+31	ემზე +22+31	მზე +24+36	მზე, +21+33	ღრუბელი +22+32	მზე +22+33

უფასო პოლიტიკური რეკლამა

სამოქალაქო სექტორის შეხვედრა მერობის კანდიდატთან

გუშინ, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლები ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატს, შოთა გოგიბერიძეს შეხვდა.

მერობის კანდიდატი წინასაარჩევნო პროგრამით წარსდგა საზოგადოების წინაშე. მან ვრცლად ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და საშუალო ფენის გაძლიერების შესახებ. შეეხო სოციალურ საკითხებს, რომელიც მწვავედ დგას ქალაქისა და ქვეყნის წინაშე. გამოკვეთა თავისი შეხედულებები და სტრატეგია არსებული რეალობის უკეთესობისკენ შესაცვლელად. ისაუბრა იმ თემებზე, რომელიც საზოგადოებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და წინასაარჩევნო პროგრამას უკავშირდება. მერობის კანდიდატმა საინტერესოდ ისაუბრა ქალაქში არსებული ეკოლოგიური პრობლემების თაობაზე, საუბარში აქტიურად ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შოთა გოგიბერიძეს შესაძლებლად მიაჩნია პროგრამით გათვალისწინებული ყველა პუნქტის შესრულება. თვლის, რომ არსებული რესურსის სწორი გადანაწილებით საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული პრინციპების შესრულება შესაძლებელია. მთავარია სწორი მიდგომა და პირველ რიგში ადამიანის ფაქტორის გათვალისწინება.

მთავარი უნდა გახდეს ადამიანი, მოქალაქე და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა. ხელისუფალი უნდა ჩადგეს ადამიანების სამსახურში. ეს არის ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა –აღნიშნა მან.

მერობის კანდიდატი შეეხო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის აღდგენას ოზურგეთში. ამ თემაზე იგი უნივერსიტეტის პროფესურასთან აწარმოებს მოლაპარაკებას.პროფესორები მზადყოფნას გამოთქვამენ უნივერსიტეტის აღსადგენად. მერობის კანდიდატს შესაძლებლად მიაჩნია სამი უფასო ფაკულტეტის გახსნა ოზურგეთში, რაც ხელს შეუწყობს ოზურგეთელი ახალგაზრდების განათლების ადგილზე მიღების მნიშვნელოვან საქმეს.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან გამართულ დიალოგში გამოიკვეთა, რომ ოზურგეთს ნამდვილად სჭირდება ცვლილებები და ეს სწორედ არჩევნების გზით უნდა მოხდეს, ოღონდ ადამიანებს უნდა მიეცეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა.

მერობის კანდიდატმა ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

შეხვედრის ბოლოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მას წარმატება უსურვეს მომავალ არჩევნებში.

გოჩა ჭანიშვილი.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

„როგორც ჟურნალისტებს, გპირდებით, რომ თქვენს მიერ დასმული არცერთი კითხვა არ დარჩება უპასუხოდ“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატი ბეგი სიორიძე ადგილობრივ ჟურნალისტებს შეხვდა.

,,მოგესალმებით მეგობრებო!

თავს უფლებას მივცემ, ასე მოგმართოთ, იმიტომ, რომ თქვენი სახით მე მყავს ყველაზე ობიექტური და სამართლიანი მეგობრები. თუ ვინმე აქამდე ასე არ ფიქრობდით, დღეს გთხოვთ, რომ ჩამწეროთ თქვენი მეგობრების სიაში და ყოველთვის, რა პოზიციაზეც არ უნდა ვიყო, მითხრათ სიმართლე ისევე შეულამაზებლად, როგორც ამას აკეთებდით აქამდე.

დღეს, სწორედ თქვენი სიმართლისთვის, თქვენი პროფესიონალიზმისთვის მინდა გადაგიხადოთ მადლობა. მე ყოველთვის ვამბობდი და ვიტყვი, რომ ისეთი ძლიერი ჟურნალისტური კორპუსით, როგორიც გურიას ჰყავს, ბევრი ვერ დაიტრაბახებს.

არ დაგიმალავთ და გეტყვით იმასაც, რომ წლების განმავლობაში, ყველაზე ანგარიშგასაწევი მაკონტროლებლები ჩემთვის იყავით თქვენ და ამისთვისაც გიხდით მადლობას.

როცა რომელიმე თქვენგანს ქუჩაში გამოსულს ვხედავ, ზუსტად ვიცი, რომ სადღაც რაღაც ხდება და ისიც ზუსტად ვიცი, რომ ამ ამბავს რამდენიმე წუთში გავიგებ იმ მედიასაშულებებიდან, რომელთაც თქვენ წარმოადგენთ.

მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ მთელი წინასაარჩევნო პერიოდი და არჩევნების დღე გააშუქეთ ობიექტურად და მაღალპროფესიონალურ დონეზე.

დამეთანხმებით ალბათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა დემოკრატიული, კონკურენტული და ევროპული არჩევნები და სწორედ ამის შედეგად მივიღეთ მრავალპარტიული საკრებულოები. კოალიცია "ქართული ოცნების" თანმიმდევრულმა მმართველობამ, განხორციელებულმა საქმეებმა, დემოკრატიული პრინციპების ერთგულებამ, სამართლიანობის დამკვიდრებისკენ სწრაფვამ განაპირობა ის, რომ ხალხს მიეცა საკუთარი პოზიციის სრულად გამოხატვის საშუალება. და მინდა გითხრათ, რომ ამ ყველაფერში თქვენ უზარმაზარი წვლილი მიგიძღვით.

მე თვითმხილველი ვარ იმ თავდაუზოგავი შრომის, ზოგჯერ გმირობის ტოლფასის, რომელსაც წლების განმავლობაში ეწეოდით.

ახალგაზრდა ადამიანები ბრძანდებით და რაც პირადად თქვენ მინდა შეგპირდეთ, არის ის, რომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის იცხოვროთ ისეთ ოზურგეთში, საიდანაც არასდროს მოგინდებათ წასვლა.

როგორც ჟურნალისტებს, გპირდებით, რომ თქვენს მიერ დასმული არცერთი კითხვა არ დარჩება უპასუხოდ და თქვენს მიერ დაწერილი არცერთი პრობლემატური სტატია არ დარჩება რეაგირების გარეშე.

გპირდებით, რომ ჩვენი საქმიანობა იქნება ისეთი საჯარო და გამჭირვალე, როგორც არასდროს. ჩემთვის თქვენი პროფესია გაცილებით მეტია, ვიდრე მეოთხე ხელისუფლება. მე თუ მკითხავთ, თქვენ ხელისუფლების ხელისუფლება ხართ და მოგიწოდებთ, გააგრძელოთ ჩემი გაკონტროლება და არ მომცეთ მოდუნების საშუალება.

დარწმუნებული ვარ, არჩევნების მეორე ტურსაც ისეთივე მაღალპროფესიონალურ დონეზე გააშუქებთ, როგორც ეს გააკეთეთ პირველ ტურზე.“

დავით მამალაძე: „სპეცსამსახურები იბრძოდნენ, რომ ჩვენ არ გავსულიყავით, მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებას მივაღწიეთ“

გაზეთი „ალიონი“

გუშინ, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მამალაძემ ჟურნალისტებისათვის ბრიფინგი გამართა.

-სპეცსამსახურები იბრძოდნენ, რომ ჩვენ და კახა კუკავას პარტია არ გავსულიყავით, მაგრამ ჩვენ ბრწყინვალე გამარჯვებას მივაღწიეთ. ხელისუფლებას სურდა , რომ მხოლოდ ,,ქართული ოცნება,“ მათი სატელიტი პარტიები გაეყვანათ. მიუხედავად ტოტალური გაყალბებისა, ლეიბორისტები 38 ოლქში შევიდნენ საკრებულოებში. ქ. ოზურგეთის საკრებულოში ქალბატონი ნათია შარაშენიძე გავიდა. მე 92 ხმა დამაკლდა რაიონის საკრებულოში მოსახვედრად.

საქართველოში ჩატარებულ ამჟამინდელ არჩევნებს ნავაროსა და აპატურაის გარდა არცერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ცნობს. ესენი კი გვეუბნებიან, რუსეთის შიშით ვერ მიგიღებთ ნატოშიო. ხელისუფლება კი გვატყუებს.

პირდაპირ ვაცხადებ, ოზურგეთში მერობაზე მეორე ტური არ იმართება. მეორე ტური იმართება ბიძინა ივანიშვილის მოურავობაზე. მერობის ორთავე კანდიდატი არის ერთნაირი მსოფლმხედველობის, ერთნაირი მენტალიტეტის, ერთნაირი პარტიული წარსულის. შოთა გოგიბერიძე ჩემი მეგობარია და პირადად მივეცი რჩევა, რომ მოეხსნა კანდიდატურა. ასევე მივმართავ ბეგი სიორიძეს, ერთი გულწრფელი მეგობარი მაინც თუ ჰყავთ, მოხსნან კანდიდატურა და ლეიბორისტულ პარტიასთან ერთად ვიბრძოლოთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დასანიშნად.

ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად, მამალაძემ თქვა, რომ ორთავე კანდიდატი შეთანხმებულად მუშაობენ. რაც შეეხება მათი პარტიის მერობის კანდიდატს, მირზა ჩხიკვიშვილს, იგი არაპარტიული ფიგურაა და მისი გოგიბერიძისადმი მხარდაჭერა არ ნიშნავს ლეიბორისტული პარტიის მხარდაჭერას.

სოფელი ჯვარცმა უძველესია

ნინო კეკელიძე

ჩვენი სოფელი ჯვარცმა ერთ-ერთი უძველესია დასავლეთ საქართველოში. ამის მტკიცებულებად ის არქეოლოგიური მონაპოვარი გამოდგება, რომელიც 2006 წლიდან თითქმის ყოველ წელს სამეურნეო სამუშაოების დროს მოიპოვება.

ბებიაჩემი ლიანა თოდუა ისტორიის მასწავლებელია და პირველსავე ნივთს მიაქცია ყურადღება „ ეს არის გაპრიალებული ქვის ხელცული, რომელიც ხეს კი არ ხლეჩდა ფლეთდა არამედ ჭრიდა. რაც დიდ როლს თამაშობდა ,,დამჯდარ მეურნეობაზე გადასვლისათვის “- ვკითხულობთ ბათუმის არქეოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის გურამ ჩხარტიშვილის დასკვნაში, რომელმაც 30 მდე ქვის იარაღი და კაჟის ანატკეჩები ექსპერტიზაზე წაიღო და სათანადო მეცნიერული დასკვნა გაკეთდა, იგი ამბობს, რომ „ ჯვარცმაში აღმოჩენილი მთლიანად გაპრიალებულ ქვის ცულს ამ მხრივ ანალოგი არ გააჩნია და ჯერჯერობით ერთადერთია ამიერ კავკასიის შესაბამისი პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის.იგი შეიძლება ითქვას ე.წ „იუველირებულ ნაწარმს“ წარმოადგენს და იშვიათ სახეობას მიეკუთვნება.

ნაპოვნია თოხისებური იარაღი, რომელიც შავი ფერის ბაზალტის ანამტვრევზეა შექმნილი. აქვეა მრავალ ფეროვანი ზომის ხელცულები, რომელიც ეზოს სხვადასხვა ადგილას არის მოპოვებული. სოფელსა და სკოლის სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტებზე ომის ვეტერანთა საინტერესო მასალებზე სკოლაში შეიქმნა მუზეუმი, სადაც სოფლის ისტორიის ამსახველი უამრავი მასალა ინახება . მუზეუმში ეწყობა ღია გაკვეთილები, ტარდება ღონისძიებები, საინტერესო გამოფენები. მოსწავლეები ჩასული არიან საკვლევაძიებო. სარაიონო სამუზეუმო გაერთიანებების მიერ ჩატარებული კონკურსი 7-კლასის მოსწავლეებმა დავით უნგიაძემ წარადგინა თემა ,,საბჭოთა კავშირის გმირს ბატონ წიქარიძეს კოლმოურნეობის ყოფილ თავჯდომარეს ოქროპირ შარაშენიძეს. პოლკოვნიკ ვასილ შარაშენიძეს მიუძღვნა ნარკვევი „ კვალი ნათელი “ რისთვისაც მოსწავლეები სიგელით დაჯილდოვდნენ.

ოქტომბერში არქეოლოგები აღნიშნულ ადგილზე საძიებო სამუშაოებს გეგმავენ, რაც უფრო მეტ ნათელს მოფენს სოფლის წარსულს.

რუსთაველის თეატრში დავით შემოქმედელის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

ნუგზარ ასათიანი



დავით შემოქმედელი: სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, ნიკო ლორთქიფანიძის, ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი პოეზიაში, პროზაში, თარგმანებში; ქართული კულტურის დესპანი; მისი წიგნები და ცალკეული ნაწარმოებები თარგმნილია უცხოურ ენებზე, შესულია სხვადასხვა ქვეყნის პოეზიის ანთოლოგიებში.

დავით შემოქმედელის საღამოზე გამოვიდნენ: მწერალი **რევაზ მიშველაძე,** პოეტი **ჯანსულ ჩარკვიანი,** კომპოზიტორები **ვაჟა აზარაშვილი, ჯუბა ჯანდიერი; მარინა კოლხიდაშვილმა და რუსუდან ხორავამ** დავით შემოქმედელის ტექსტებზე შეასრულეს სიმღერები. ასევე რუსთაველის თეატრის დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგნენ მომღერლები: **ირმა სოხაძე, თემურ გუგუშვილი, ანი ბაგრატიონი.**

დავით შემოქმედელის საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ მისი მეგობრები ოზურგეთიდან, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, მხატვარი ვახტანგ მამეიშვილი....იუბილარს გადაეცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და სურათების გალერეის მიერ გაგზავნილი საჩუქრები.

რუსთაველის თეატრში საღამოს დასრულებისთანავე, ჩვენ რამდენიმე მონაწილე ჩავწერეთ:

ჯანსულ ჩარკვიანი, პოეტი: –დავით შემოქმედელი შესანიშნავი პოეტია, პროზაიკოსი, მთარგმნელი, კარგი მოქალაქე. ბევრი რამ გააკეთა, როგორც სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა. ჩვენი კულტურის დესპანია უცხოეთში. აბა, რა გითხრათ, გურიას მისი სახით კიდევ ერთი დიდი შემოქმედი ჰყავს

ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:–დათოს ლექსები მუსიკალური თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა. თქვენც მოისმინეთ ამ საღამოზე მის ლექსებზე შექმნილი სიმღერებიც აჟღერდა. ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ ურთიერთობებს. კარგი პოეტია, კარგი საღამოც გამოვიდა.

ირმა სოხაძე, მომღერალი: –მართალი გითხრათ მე ახლოს არ ვიცნობდი დავით შემოქმედელს. ამ საღამოზე დამპატიჟეს, მოვედი და ვიმღერე კიდეც. ისე მომწონს მისი ლექსები და ვფიქრობ სამომავლოდ დავითის ლექსებზე შეიქმნას ახალი სიმღერები.

„წვიმაში ფეხშიშველი ისე მიდიოდა მელიქიშვილზე, თითქოს მის გარშემო ადამიანები არც იყვნენ“



რამდენიმე დღის წინ, თბილისში, რუსთაველის თეატრში პოეტ დავით შემოქმედელის საღამო გაიმართა. ოზურგეთიდან მისი მეგობრები, ამ სტრიქონების ავტორი და დათოს თანასოფელელი, მხატვარი ვახტანგ მამეიშვილი ჩავედით თბილისში.

ღამაზი საღამოს შემდეგ რუსთაველს დავუყევით. თავისუფლების მოედანს გავცდით და ცნობილ ბარ „ველიამინოვში“ შევედით. სულ ოთხნი ვიყავით: დავითი, ვახტანგი, მე და ჩემი ვაჟი გიორგი.

„ველიამინოვი“ სარდაფშია და მომსვლელ-წამსვლელიც ბევრი ჰყავს. საკმაოდ ბევრი იყო ოჯახური წყვილი და ბავშვებიც. კუთხეში მოვთავსდით. მაგიდას თავად იუბილარი უძღვებოდა. ითქვა მთისა და ბარის. გალაკტიონზე ჩამოვარდა სიტყვა. დათომ გაიხსენა, როგორ დავდიოდით მე და ის ათეული წლების წინ ჭყეიშში „გალაკტიონობაზე“...

–ერთხელ „დარიალში“ დავპატიჟეთ პოეტების მეფე–თქვა ვახტანგმა...

–შენ ცოცხალ გალაკტიონს შეხვედრიხარ –შეეკითხა დავითი.

–შენ რა გგონივარ, წლებმა მოიყარა თავი. ჰოდა ეს იმ დროს მოხდა, როცა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტი გავხდი, პირველ კურსზე ვიყავი...

ამ დროს მობილურმა დარეკა.

–მიწისძვრის ბიძგები იყო და თუ იგრძენითო-კითხულობდნენ.

–რა დროს მიწისძვრაა, გალაკტიონზე ვსაუბრობთ – ჩაიცინა დავითმა. არც ჩვენ გვფიქრია სტიქიაზე...

ჩვენი თხოვნით ვახტანგმა დაიწყო შეხვედრის დეტალების მოყოლა.

–1958 წლის შემოდგომა იყო. თანაკურსელები, ოზურგეთლები მე, ჯემალ მიმინოშვილი და ავთანდილ ქარცივაძე რუსთაველზე, რესტორან „დარიალში“ ჩავედით. თქვენც კარგად გემახსოვრებათ, „დარიალი“ მიწის ქვეშ, სარდაფში იყო. რესტორნის ბოლოში ვისხედით. დაახლოებით ღამის 11 საათი იქნებოდა, გალაკტიონი რომ შემოვიდა. ადგილები არ იყო, მხოლოდ ჩვენთან იყო ერთი თავისუფალი სკამი.

შუა დარბაზამდე მოვიდა. თავისუფალი ადგილი რომ ვერ შეამჩნია, უკან დაბრუნებას აპირებდა. ჯემალ მიმინოშვილი გათამამდა, უკან მიბრუნებულს დაეწია და სთხოვა ჩვენს მაგიდასთან მოსულიყო.

გალაკტიონი დათანხმდა და თავისუფალ სკამზე დაჯდა. რომ გაიგო სამთავე ოზურგეთლები ვიყავით ღიმილით გვკითხა:

– გურული ფირალები ხართ ძმიკოებო?

მე შევიფერე და ვუპასუხე:–კი, სამთავე გურული ფირალები ვართ-მეთქი.

როგორ აგიწეროთ ის საოცარი წუთები, რაც ჩვენ გალაკტიონთან ერთად ვიყავით. იყო ღამაზი სადღეგრძელოები მამულზე, სიყვარულზე.. ლექსი არ უთქვამს, ან ჩვენ როგორ შევბედავდით პოეტების უგვირგვინო მეფეს მისი სურვილის გარეშე რაიმე ეთქვა...

მეორედ მელიქიშვილის გამზირზე შემხვდა. წვიმდა, სანდლები გაეძრო და წვიმაში ფეხშიშველი ისე მიდიოდა, თითქოს მის გარშემო ადამიანები არც იყვნენ. გრძელ წვერზე ღვარად ჩამოსდიოდა წყალი. ყველანი ჩერდებოდნენ და პოეტს უცქერდნენ, მაგრამ მაშინ იგი სხვა სამყაროში იყო, ვერავის ხედავდა...

გალაკტიონი რომ გარდაიცვალა, მის დაკრძალვაზე ათეულ ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი. ამდენი ადამიანი მერაბ კოსტავას დაკრძალვაზე თუ იყო ათეული წლის შემდეგ. მთაწმინდის პანთეონის ტერიტორიაზე შესვლა წარმოუდგენელი იყო. სხვებივით ჩვენც მახლობელ გორაკზე გავედით და პანთეონს მივუახლოვდით. იქ კიპაროსის ხე იდგა და იმის ტოტებს ჩავეჭიდეთ, საქანელასავით გამოვიყენეთ და პანთეონის ტერიტორიაზე შევიპარეთ.

პანთეონში შესვლას კალინინის რაიონის მილიციის პოლკოვნიკი აწესრიგებდა და ურჩებს რეზინის ხელკეტით უმასპინძლდებოდა. ჩემმა მეგობრებმა და მეც ვიწვნიეთ ზურგზე ხელკეტი, მაგრამ სხვებთან ერთად ისე განვიცდიდით დიდი პოეტის ტრაგიკულ აღსასრულს, ტკივილი არ მიგრძვნია...

ვახტანგმა თხრობა დაასრულა.

ოთხივე ფეხზე წამოვდექით და უხმოდ შევსვით პოეტების მეფის სასმისი.

დავით შემოქმედელი

ლექსები

ალსარება

/თადეოზ იორამაშვილს/

რას მეტყვი, მამავ?! ვერ დავასრულე
წუთისოფელთან ჩემი წანწალი,
გეზი აუცდა ამ გზებს საუღლეს,
ჯიბრში მყავს ჯიქურ ბედი წაწალი.
რაც ვიცოდვილე, წრიალებს სულში
სულ ამიწეწა ფიქრის სამანი,
ვერ ჩავრგე ნერგი ზესიყვარულში,
ვერ ვამზეურე იასამანი.
მამავ, იქნება, ეს გზაც ნისლია,
და მირაჟ-მირაჟ დავალ ცეცებით,
სანთლების შუქზე ლურჯი ბიბლია,
თითქოს ცის შემთბარ სამოსს ვეხები.
სხივი ცას მკრთალი სხივით ლამბავდა.
სწუხდნენ ქარები, ნელი თუ მალი,
და თავქვე მედო უფლის ლაბადა,
მიწა მზის თბილი თავსასთუმალი.
დავდივარ ასე სულის ხსნისათვის,
სიტყვების ზვავის დამატყდა თქეში,
და ერთი ციდა სტრიქონისათვის,
რამდენი ღამე ჩამადნა ხელში.
ხანდახან თითქოს სივრცე-მანძილი
წამში ჩემ თვალწინ უხმოდ დამთავრდა,
რას მეტყვი, მამავ?! როცა დაღლილი
სულს ძლივს ვიბრუნებ დედის საფლავთან...
გახიდული ვარ ცხოვრების ჯვარზე,
ხორცით ვცოდებ და ლექსით ვმარხულობ,
ჩემი ხმა ჩიტსაც არ ესმის გზაზე,
მაშ, სტრიქონ-ხილვებს რისთვის ვნახულობ?...
ახლა ცრემლ-ყინულ ბილიკზე დავალ,
ვით სხივი ბინდში ნაფერკმთალები,
და გზას ცისკრისკენ მიკვალავს, მამავ,
იესოს თბილი ნატერფალები...

***

/მეუღლისადმი/

ვერ გიერთგულე, ვიყავ ჯალათი,
ვერ ვიგრძენ შენი ერთადერთობა,
მხრებზე მოსხმული ცოდვის ხალათით
კართან ვდგავარ და ვითხოვ შენდობას.
ჯიუტ სიტყვასთან მერგო წაწლობა,
ნისლებთან ახლოს ვისურვე ბინა,
ცასთან მუდმივი მქონდა ნათლობა,
უფლის დუმილი რომ მომესმინა.
მაგრამ მიწაზეც მედგა ხელადა
ევას მწყურვალე ვნებით ნამული,
ფლირტ ქალებისგან შემრჩა სევდა და
გედებგაფრენილ ტბის სინანული.
ავგულ დღეებით ასე დაღდასმულს
ქარებს კაბის ფულს რომ ესესხები,
ბარბაროს წლებით სხეულდაქანცულს,
სულს თუ გითბობენ ჩემი ლექსები.
ეს ოცი წელი ოცი ბორკილი
თუ ზეცის თაღზე ბუდე ოცნების,
სტრიქონში ჯვარცმა მქონდა მოსვილი
და მოჩურჩულე ქარში ლექსები.
ახლა რა დარჩა გზა საჯილდაო
და პარნასისკენ დაძრული ლოდი,
ჩვენი თამუნა და ჩვენი დათო,
ჩვენი გვირილა და მუხის ტოტი!...

***

რასაც ვხედავ, სილაჩრეა,
სიმწრის ცრემლი დამდინდა,



არ მინდა!

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ვანისქედის ეკლესიას ათეული წლების წინათ დაკარგული ფუნქცია დაუბრუნდა

ნუგზარ ასათიანი

სოფ. მთისპირში ასკანის ციხესა და ოქროსქედის აღდგენილ ეკლესიასათან ერთად ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია იოანე ნათლისმცემლის სახელობის ვანისქედის დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც XI-XIII საუკუნეებით თარიღდება. ტაძარი XI საუკუნეში აუგიათ. XVII საუკუნეში საფუძვლიანად განუახლებიათ, XIX საუკუნეში კი დანგრეული ეკლესიის დიდი ნაწილი აღუდგენიათ.

გასული საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტურ-კომკავშირულ აქტივს ეკლესია კვლავ დაუნგრევია.

XXI საუკუნის დასაწყისში ამ სოფლის მკვიდრი ჟიული სეფერთელაძე ეკლესია-მონასტრების აღდგენის ფონდს დაუკავშირდა. კეთილი ადამიანების დახმარებით საქმე ადგილიდან დაიძრა. შედგა რესტავრაციის პროექტი, რომლის ავტორები იყვნენ ცოლქმარი, არქიტექტორ-რესტავრატორი ნინო ბაკურაძე და ვლადიმერ ოთარაშვილი.

2006 წელს ვანისქედში თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, ეროვნული მემკვიდრეობის კლუბ „ტაძარის“ წევრები ჩამოვიდნენ და მთისპირლებთან ერთად ტაძარი ნანგრევებისაგან გაწმინდეს.

იმის გამო, რომ თავდაპირველად არ იყო საკმარისი თანხა, ჟიული სეფერთელაძის სიძემ გიორგი მაისურაძემ 15 ტონა კირი და ცემენტი შესწირა ეკლესიის აღდგენა-რესტავრაციას.

რესტავრაციას თავად ნინო ბაკურაძე უძღვებოდა და აღადგინა ეკლესია. შემდეგ ჩატარდა გადახურვითი სამუშაოები, თუმცა სამრეკლოს აგება ვერ შეძლეს.

სამუშაოების დასრულებიდან თითქმის 8 წლის შემდეგ იოანე ნათლისმცემელის სახელობის ვანისქედის ეკლესიას ათეული წლების წინათ დაკარგული ფუნქცია დაუბრუნდა.

ტაძრის მოძღვარია მამა ანდრია (მამულაიშვილი). მასთან ერთად ტაძარში იქნება მორჩილი გიორგი (კიღურაძე).

ვანისქედის ეკლესიაში დღეს ლოცვა მამა ანდრიასთან ერთად აღავლინეს ჯუმათის მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვარმა მამა მიქაელმა (მიგინეიშვილი), მამა გაბრიელმა, მამა ფილიმონმა, მამა ონისიმემ.

მლოცველთა შორის მთისპირლებთან ერთად იყვნენ სტუმრები ოზურგეთიდან და სხვადასხვა სოფლებიდან. ახლადგახსნილი ტაძარი მოინახულა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულმა გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

ჩვენი არჩევნები

ამ არჩევნებმა ბევრის გრძნობები
აწეწ-დაწეწა და არივ-დარია,
ვინც გაიმარჯვებს ყველას ვულოცავ
და გიხარია;
ვინც კი დამარცხდა, გულწრფელად
ვამბობ
არ მიხარაია,
ეს არჩევნები კი უცილობრივ
ჩვენი წინსვლის და აღმასვლების
საწინდარია.

მურმან დუნდუა.
16.06.2014 წ.

შავი ზღვის თასის პირველობა ალპაგუტში

ალპაგუტი სრული კონტაქტური კარატეს სტილია, რომელშიც შედის სრული ბრძოლის სისტემა. ვერსია I –კონტაქტური კარატე, სისტემა კიოკუშინკაი, გოჯუ-რიუ, აშიხარია, საიოკანი;

ვერსია II – ბრძოლა წესების გარეშე. სისტემა, კემპო, ჯიუჯუცუ, შიდოკანი, სინდოკაი -1, პრიფაიტინგ.

ვერსია III: -1, კიკბოქსინგი, მუაიტაი, სანდა, საბრძოლო ტაეკვონ-დო, სიმმეიდო, სავატე.

ამ უნიკალური სტილის შემქმნელი და დამფუძნებელი აზერბაიჯანელი ვასიფ ნამაზოვია. ორი თვის წინ იგი სემინარზე იმყოფებოდა ქ. ოზურგეთში და სემინარის დასრულების შემდეგ შავი ქამარი III დანი მიანიჭეს და ამ ფედერაციის ოფიციალურ წარმომადგენლად გამოაცხადეს ირაკლი ტულუში.

ამ სემინარის დასრულების შემდეგ დაიგეგმა, რომ 20-24 ივლისს ოზურგეთში ჩატარდეს შავი ზღვის პირველობა ალპაგუტში, რომლის ჩატარება ყოველწლიურ სახეს მიიღებს.

ასეთი სახის შეჯიბრი საბრძოლო ხელოვნებაში ოზურგეთში არ ჩატარებულა.

როგორც ალპაგუტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ირაკლი ტულუშმა გვითხრა, შეჯიბრი ჩატარდება სამივე ვერსიით 3 ტატამზე. შეჯიბრზე ოზურგეთელი ტაეკვან-დოისტები, კიკბოქსიორები და ბოქსიორები გამოვლენ.

მისივე ინფორმაციით, თასის გათამაშებაზე გამოვლენ: საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, უზბეკეთი, რუსეთი, ჩეხეთი, ავღანეთი, განა. ჯერ-ჯერობით არაა დაზუსტებული ჩამოვლენ თუ არა გუნდები უკრაინიდან და ამერიკიდან.

ირაკლი ტულუშმა ისიც აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა რწმენამ და საბრძოლო ხელოვნებამ გაარჩინა. ამიტომ ჩვენი შვილები მეომრებად უნდა გავზარდოთ, რომ სამშობლოს ღირსეული დამცველები იყვნენ.

პროექტი „ლიდერები“

კვირიკეთის საჯარო სკოლაში გაიმართა ინგლისური ენის მასწავლებლის ქეთევან ნიკოლაიშვილის მიერ დაფუძნებული, პროექტ „ლიდერების“ შემეცნებით-გასართობი ღონისძიება, რომლის მიზანი იყო ლიდერი ბავშვებისა და კლასების წარმოჩენა და დაჯილდოება. ეს პროექტი აქტიურად მიმდინარეობს უკვე მე-4 წელია და ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დღესასწაულია.

ამ წლის ლიდერები გახდნენ მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს ეს სასწავლო წელი.

დირექცია ულოცავს მათ ამ ჯილდოს და უსურვებს წარმატებებს, ბედნიერ მომავალს, ხოლო პედაგოგ ქეთევან ნიკოლაიშვილს მადლობას უხდის ამ პროექტის შექმნისა და განხორციელებისთვის და უსურვებს წარმატებებს პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძემ პედაგოგებს ფასიანი საჩუქრები გადასცა.

ტურნირი ფარიკაობაში

1-3 ივლისს ქ. ბათუმში ჩატარდა მეშვიდე საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში

1998-99 წლებში დაბადებულთა შორის. მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს გუნდები.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა დაშნით ფარიკაობაში ვაჟებში მეორე ადგილი დაიკავა გელა მჟავიამ, გოგონებში მესამე ადგილი დაიკავეს ნინო ბარამიძემ და თეა კვაჭაძემ. მწვრთნელი მალხაზ კვაჭაძე.

თხინვალის სკოლის კარებს წელს 7 პირველკლასელი შეაღებს

სექტემბრამდე წინ ცხელი ზაფხულია და ბავშვებს საკმაო დრო აქვთ დასვენებისა და გართობისათვის. მათთვის დიდი სკოლა იქნება სოფლის სბავშვო ბაღში გატარებული დრო, სადაც მათ სწავლისა და გართობის კარგი პირობები ჰქონდათ.

სბავშვო ბაღში (გამგე-მენეჯერი თამარ ცერცვაძე), წელს 28 აღსაზრდელი იყო. უფროს ჯგუფში სულ 7 ბავშვი იყო, რომლებმაც თავიანთ უმცროს მეგობრებთან ერთად ლამაზი გამოსაშვები ზეიმი გამართეს. ბუნებრივია ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ პედაგოგები შორენა ხომერიკი, მაკა კვაჭანტირაძე, მუსიკის მასწავლებელი ზეინაბ კვაჭანტირაძე.

მარი ბაბილოძემ, ნიკა ბაქანიძემ, გიორგი ხურციძემ, ლიზი კვაჭანტირაძემ, ალიკა ქიმუცაძემ, თორნიკე და დიმა პოლოიანებმა საინტერესო საკონცერტო ნომრები შეასრულეს. უნდა აღინიშნოს უმცროსი ასაკის ბავშვების აქტიურობა ამ კონცერტში. მათ სიმღერა თხინვალის სკოლის მოსწავლე ნოდიკო დონაძემაც უძღვნა.

ამ დღეს დიმა პოლოიანის დაბადების დღე იყო და მეგობრებმა ტორტი მიართვეს.

შემდეგ ბაღის გამგე-მენეჯერმა განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის მიერ გაგზავნილი საჩუქრები გადასცეს პატარებს.

ტურნირი მესტიაში

25-26 ივნისს მესტიაში ჩატარდა ნესტორ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც საქართველოს რეგიონების ნაკრებ გუნდებთან ერთად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის გუნდი.

60კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა თორნიკე ონიანმა, ამავე წონაში

მესამე ადგილი დაიკავა თომა ჩხარტიშვილმა. გუნდი მოამზადეს გოჩა ბურჭულაძემ,

დიმიტრი ტულუშმა და დავით ჩიკაშუამ.

დისშვილები დოდო, ილო, კახა რუსიძეები; მადონა, ვანო მამაკაიშვილები; ძმისშვილები ავთო დონაძე, ნოდარ დოლიძე იუწყებიან **შოთა ბენიაბის ძე დონაძის** გარდაცვალებას.

დაკრძალვა 12. VII, 16 სთ. სოფ. ლიხაურში (კვაჭალათი).

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე